საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 122

თბილისი „03“ 10 2019წ.

ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგიერთი საგნისა და საშუალო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „თ“, „რ“ და „ფ“ ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის 3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 2 ოქტომბრის N1314206 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნით:

ა) გამოცხადდეს გრიფირება ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ შესარჩევ ერთეულებზე;

ბ) განისაზღვროს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადისა და სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის წარმოდგენისა და სხვა ვადები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დამტკიცდეს გრიფირების განაცხადის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს სახელმძღვანელოს მაკეტის ანკეტის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.

ე) განისაზღვროს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების შეძენისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა და გადახდის სტრუქტურა დანართი N5-ის შესაბამისად;

2. საბაზო/საშუალო საფეხურის IX-XII კლასების სახელმძღვანელოების შესარჩევად, გრიფირება გამოცხადდეს 2020 წელს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 2 ნოემბრის N390 ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები.

4. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

შესარჩევი ერთეულები

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
სახელმწიფო ენა	1. ქართული ენა და ლიტერატურა	სავალდებულო	ქართული	VIII	- **მასწავლებლის წიგნი;** - **მოსწავლის წიგნი** (ერთი ნაწილი - ქართული ლიტერატურა და ერთი ნაწილი - ქართული ენა).

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
მათემატიკა	2. მათემატიკა	სავალდებულო	ქართული	VIII	- **მასწავლებლის წიგნი;** - **მოსწავლის წიგნი.**

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	3. ისტორია	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის რვეული (თემატური კონტურული რუკები); - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	4. გეოგრაფია	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის რვეული (თემატური კონტურული რუკები); - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	5. მოქალაქეობა	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	6. ბიოლოგია	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	7. ფიზიკა	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	8. ქიმია	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
უცხოური ენები	9. პირველი უცხოური ენა - ინგლისური	სავალდებულო	ინგლისური	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა)

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
უცხოური ენები	10. მეორე უცხოური ენა - ფრანგული სერია: V-VI კლ.	სავალდებულო	ფრანგული	V- VI;	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის - (აუდიო ან/და ვიდეო მასალა).
				VII; VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა).

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
უცხოური ენები	11. მეორე უცხოური ენა - გერმანული	სავალდებულო	გერმანული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა).

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
უცხოური ენები	12. მეორე უცხოური ენა- რუსული	სავალდებულო	რუსული	VII; VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა).

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
სახელმწიფო ენა	13. ქართული, როგორც მეორე ენა სერია: V-VI კლ.	სავალდებულო	ქართული	V-VI	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო ან/და ვიდეო მასალა).
				VII, VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - მოსწავლის რვეული; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა).

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
სპორტი	14. ფიზიკური აღზრდა და სპორტი	სავალდებულო	ქართული	VII, VIII	- მასწავლებლის წიგნი

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
ესთეტიკური აღზრდა	15. მუსიკა	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი; - ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის (აუდიო მასალა)

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
ესთეტიკური აღზრდა	16. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სავალდებულო	ქართული	VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
სახელმწიფო ენა	17. აფხაზური ენა და ლიტერატურა სერია: I-IV კლ; V-VI კლ.	სავალდებულო	აფხაზური მიზნობრივი ჯგუფი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლის მოსწავლეები	I, II, III, IV; V, VI; VII, VIII	- მასწავლებლის წიგნი; - მოსწავლის წიგნი.

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	სახელმძღვანელოს ენა	კლასი	სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა
ეროვნული უმცირესობების ენები	18. **რუსული, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა** სერია: I-IV კლ; V-VI კლ.	სავალდებულო	**რუსული**	I, II, III, IV;	- **მასწავლებლის წიგნი;** - **მოსწავლის წიგნი;** - **მოსწავლის რვეული**
				V, VI; VII, VIII	- **მასწავლებლის წიგნი;** - **მოსწავლის წიგნი.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. *სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა მოიცავს გრიფის მისანიჭებლად სავალდებულოდ წარმოსადგენი სახელმძღვანელოს შესაბამის სახეს.*
2. *თითოეული სახელმძღვანელოს მაკეტი – მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, ელექტრონული რესურსი მოსწავლის წიგნისათვის უნდა იყოს განკუთვნილი საგნის ერთი კლასისთვის. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მასწავლებლის წიგნზე/მასწავლებლის წიგნის ელექტრონულ რესურსზე. ამ შემთხვევაში დასაშვებია ერთი სახელმძღვანელო შეესაბამებოდეს ერთდროულად არაუმეტეს ორ კლასს.*

დანართი N2

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადისა და სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის წარმოდგენისა და სხვა ვადები

1. სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის წარმოდგენა - 2019 წლის 28 ოქტომბერი - 1 ნოემბრის ჩათვლით;
2. სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის შეფასება და შედეგების გაცნობა - 2019 წლის 29 ოქტომბერი - 13 ნოემბერის ჩათვლით;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანდიდატურის წარმოდგენა 2020 წლის 3-14 თებერვლის ჩათვლით;
4. **განაცხადების რეგისტრაცია-შემოწმება:**
   4.1 გრიფირების განაცხადის (საბუთების და სახელმძღვანელოს მაკეტის) წარმოდგენა -2020 წლის 17-21 თებერვლის ჩათვლით;
   4.2 გრიფირების განაცხადზე მატერიალური ფორმით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა - გრიფირების განაცხადის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღე;
   4.3 გრიფირების განაცხადების შემოწმება 2020 წლის 17-26 თებერვლის ჩათვლით;
   4.4 გრიფირების განაცხადებში ხარვეზის აღმოფხვრა - გრიფირების განაცხადზე ხარვეზის დადგენიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღე.
5. სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირება/საჩივრების წარდგენა/განხილვა/გადაწყვეტილების მიღება და შედეგების გაცნობა- 2020 წლის 4 მარტი - 18 ივნისის ჩათვლით;
6. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის/მაკეტის განხილვა და შენიშვნა/რეკომენდაციის წარმოდგენა 2020 წლის 4 – 20 მარტის ჩათვლით;
7. განცხადებლის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის წარდგენა გარანტორისთვის - 2020 წლის 30 აპრილი;
8. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაფორმების ვადა - არაუგვიანეს 2020 წლის 19 ივნისი;
9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა 2020 წლის 22 ივნისი - 5 ივლისის ჩათვლით;
10. ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდის (მოქმედი) შესახებ ინფორმაციის (მისამართი) წარდგენა - გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან მეორე კალენდარული დღე.

დანართი N3

გრიფირების განაცხადის რეკვიზიტები

1. განაცხადის მიმღები			
საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდეგში - სამინისტრო)			
2. განმცხადებლის მოთხოვნა			
წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭება			
3. საბუთების წარდგენის თარიღი			**კომენტარი**
_____			*ენიჭება ავტომატურად, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემაში განაცხადის წარდგენის დასრულებისას*
4. სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენის თარიღი			
_____			*ენიჭება ავტომატურად, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენის დასრულებისას*
5. ინფორმაცია განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის შესახებ			**კომენტარი**
5.1 ფიზიკური პირის/პირების შემთხვევაში	5.1.1 განაცხადის პირადად წარდგენის შემთხვევაში	5.1.1.1 განმცხადებლის სახელი, გვარი; პირადი №; ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი; საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.1.1.2 განმცხადებლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
	5.1.2 განაცხადის წარმომადგენლის მეშვეობით წარდგენის შემთხვევაში	5.1.2.1 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; პირადი №; ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი; საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.1.2.2 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	*ელექტრონულად*
		5.1.2.3 წარმომადგენლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
	5.1.3 სხვა ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ	_____	*ივსება განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში*

5.2 რეზიდენტი იურიდიული პირის/პირების მემთხვევაში	5.2.1 ინფორმაცია იურიდიული პირის შესახებ	5.2.1.1 იურიდიული პირის დასახელება, მისამართი (სათაო ოფისის), საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.2.1.2 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი რეგისტრაციის ფაქტის შესახებ	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
		5.2.1.3 ცნობა რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
		5.2.1.4 ცნობა ქონებაზე ყადაღა/აკრძალვის შესახებ	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
	5.2.2 ინფორმაცია წარმომადგენლის შესახებ	5.2.2.1 განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; პირადი №; ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი; საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.2.2.2 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	*ელექტრონულად*
		5.2.2.3 წარმომადგენლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
	5.2.3 სხვა ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ	. _____	*ივსება განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში*

5.3 არარეზიდენტი იურიდიული პირის/პირების შემთხვევაში	5.3.1 ინფორმაცია არარეზიდენტი იურიდიული პირის შესახებ	5.3.1.1 იურიდიული პირის დასახელება, მისამართი (სათაო ოფისის), საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.3.1.2 ცნობა რეგისტრაციის ფაქტის შესახებ	*ელექტრონულად და მატერიალურად*
		5.3.1.3 ცნობა რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ	*ელექტრონულად და მატერიალურად*
		5.3.1.4 ცნობა ქონებაზე ყადაღა/აკრძალვის შესახებ	*ელექტრონულად და მატერიალურად*
	5.3.2 ინფორმაცია წარმომადგენლის შესახებ	5.3.2.1 განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი-გვარი; პირადი №; ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი; საკონტაქტო ინფორმაცია	*ტელეფონი, ელ-ფოსტა/ალტერნატიული ელ-ფოსტა*
		5.3.2.2 განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	*ელექტრონულად და მატერიალურად*
		5.3.2.3 წარმომადგენლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი	*„შენიშვნის" გათვალისწინებით*
	5.3.3 სხვა ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ	_____	*ივსება განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში*

6. განმცხადებლის/წარმომადგენლის დასტური (ელექტრონულად და მატერიალურად) მასზედ, რომ:	
6.1	ვეთანხმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ პირობებს და ვაცხადებ, რომ გრიფირების მიმდინარეობისას, ისევე, როგორც გრიფის მოქმედების (იმ შემთხვევაში, თუკი ჩემ მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს მიენიჭება გრიფი) მთელი პერიოდის განმავლობაში დავიცავ ამ წესის მოთხოვნებს
6.2	თანახმა ვარ, სამინისტრომ გადაამოწმოს ჩემ მიერ გრიფის მისანიჭებლად წარმოდგენილ განაცხადში, ანკეტაში და შესაბამის დოკუმენტებსა და მასალებში მითითებული ინფორმაციის სისწორე და შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება გრიფის მინიჭების ან სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ
6.3	თანახმა ვარ, გრიფირებაში მონაწილეობის მისაღებად ჩემ მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მისი დანართები გრიფირების დასრულების შემდეგაც დარჩეს სამინისტროში საქმისწარმოების წესებით გათვალისწინებული ვადით
6.4	თანახმა ვარ, ჩემ მიერ განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, სალიცენზიო ხელშეკრულებით, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სამინისტროს გადავცე აღნიშნული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის ჩვეულებრივი ლიცენზიით სარგებლობის უფლება, კერძოდ: რეპროდუცირების, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების უფლება
6.5	თანახმა ვარ, ჩემ მიერ განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, ვითანამშრომლო სამინისტროსთან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების დაკვეთის შესასრულებლად, ხოლო დაკვეთის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში – ამ სახელმძღვანელოზე შესაბამისი უფლება ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით მიზნობრივად გადავცე სამინისტროს, ან სამინისტროს მიერ შერჩეულ მესამე პირს
6.6	თანახმა ვარ, ჩემ მიერ განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, მასწავლებლებისათვის თავისუფლად და შეუზღუდავად ხელმისაწვდომი გავხადო მასწავლებლის წიგნი ელექტრონულ ფორმატში და მასწავლებლის/მოსწავლის წიგნის ელექტრონული რესურსი, ასეთის არსებობის შემთხვევაში
6.7	თანახმა ვარ, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ანონიმურ ეგზემპლარში ანონიმურობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის საფუძველზე სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მხედველობაში ვიღებ, რომ შედეგად სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი გრიფირების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლებას კარგავს
6.8	განაცხადის წარდგენის მომენტში არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში და გრიფირების განმავლობაში ამ საკითხის მიმართ ვიხელმძღვანელებ კეთილსინდისიერებისა და თანამშრომლობის პრინციპებით

6.9	თანახმა ვარ, სამინისტროს წარვუდგინო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესით" დადგენილი პერიოდისათვის

შენიშვნა:

იმ შემთხვევაში, თუ სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ელექტრონული სერვისებით, ვერ ხდება განმცხადებლის ან განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირება, ასევე, ვერ დასტურდება შესაბამისი ინფორმაცია რეგისტრაციის ფაქტის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის და ქონებაზე ყადაღა/აკრძალვის შესახებ, განმცხადებელი ვალდებულია, მითითებული ინფორმაცია ატვირთოს ელექტრონულად. აღნიშნული ინფორმაცია უნდა ასახავდეს გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის (საბუთების წარდგენის) პერიოდის მდგომარეობას.

დანართი N4

სახელმძღვანელოს მაკეტის ანკეტის რეკვიზიტები

1.ინფორმაცია სახელმძღვანელოს მაკეტის შესახებ
1.1. განმცხადებელი/წარმომადგენლი; 1.2. საგნობრივი ჯგუფი; 1.3. საგანი; 1.4. საგნის სტატუსი (სავალდებულო, არჩევითი); 1.5. სერია (სერიის წარმოდგენის შემთხვევაში); 1.6. კლასი; 1.7. სახელმძღვანელოს ენა და სექტორი (ქართულენოვანი, არაქართულენოვანი); 1.8. სახელმძღვანელოს დასახელება; 1.9. სახელმძღვანელოს მაკეტის კომპლექტის შემადგენლობა და ნაწილები (თუკი შედგება ნაწილებისგან); 1.10. გვერდების რაოდენობა კომპლექტში შემავალი მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულის და მასწავლებლის წიგნის მიხედვით. 1.11. სარედაქციო ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი (სახელი, გვარი, თანამდებობრივი სტატუსი) - ივსება განმცხადებლის სურვილისამებრ.
2. ინფორმაცია სახელმძღვანელოს მაკეტის ავტორისა და გამოცემის შესახებ
2.1 ავტორის/ავტორების სახელი, გვარი/ფსევდონიმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 2.1.1 ორიგინალი ნაწარმოების შემთხვევაში; 2.1.2 გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევაში (ადაპტაცია/თარგმანი და სხვა); 2.1.3 შედგენილი ნაწარმოების შემთხვევაში.
2.2. გადამუშავებული (ადაპტაცია/თარგმანი და სხვა) **ან შედგენილი სახელმძღვანელოს წყარო. ნაწარმოების დასახელება, გამომცემლობა, პირველი გამოცემის თარიღი, ISBN**
2.3 ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის/მფლობელების თანხმობა (ელექტრონულად (PDF ფორმატში) და მატერიალურად): საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. **2.4 განმცხადებელსა და საავტორო უფლების მფლობელს შორის გაფორმებული შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულება** (ელექტრონულად, PDF ფორმატში) - უცხოური ავტორის/გამომცემლობის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის წარმოდგენის შემთხვევაში.
3. ინფორმაცია სახელმძღვანელოს მაკეტში რეკლამის (სოციალური, პოლიტიკური, კომერციული, აგრეთვე სასაქონლო ნიშანი) არსებობის შესახებ
3.1. მითითება სახელმძღვანელოს (მაკეტის) სახეზე და რეკლამის განთავსების ზუსტ ადგილზე (გვერდი); 3.2. რეკლამის გამოყენების აუცილებლობის ავტორისეული დასაბუთება.
4. ინფორმაცია წლიური საგნობრივი პროგრამის შესახებ (ივსება თუ კი სახელმძღვანელოს მაკეტი შედგენილია ავტორისეული საგნობრივი პროგრამის შესაბამისად)
ავტორისეული ხედვის აღწერა წლიურ საგნობრივ პროგრამაზე.

5. სხვა ინფორმაცია სახელმძღვანელოს მაკეტის და მისი ავტორის შესახებ (ივსება განმცხადებლის სურვილისამებრ)
6. სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი
6.1. ფერადი ვერსიის ანონიმური ელექტრონული ეგზემპლარი (PDF ფორმატში, DPI - არაუმეტეს 600, ყოველ გვერდზე წარწერით Don't Copy) შესაბამისი ელექტრონულ რესურსთან ერთად (არსებობის შემთხვევაში); 6.2. 2 ანონიმური ნაბეჭდი ეგზემპლარი;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების შეძენისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა და გადახდის სტრუქტურა							
#	საგანი	კლასი	A	B	G1	G2	G3
1	ქართული ენა და ლიტერატურა	VIII	1 x 20000	0	4	0	0
2	მათემატიკა	VIII	1 x 20000	0	4	0	0
3	ისტორია	VIII	1 x 30000	0	4	0.3	0
4	გეოგრაფია	VIII	1 x 30000	0	4	0.3	0
5	მოქალაქეობა	VIII	1 x 20000	0	4	0	0
6	ბიოლოგია	VIII	1 x 20000	0	4	0	0
7	ფიზიკა	VIII	1 x 20000	0	4	0	0
8	ქიმია	VIII	1 x 20000	0	4	0	0
9	პირველი უცხოური ენა -ინგლისური	VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
10	მეორე უცხოური ენა - რუსული	VII	1 x 30000	3000	4	0.3	0
		VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
11	მეორე უცხოური ენა- გერმანული	VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
12	მეორე უცხოური ენა - ფრანგული,	V-VI	2 x 30000	6000	4	0.3	0
		VII	1 x 30000	3000	4	0.3	0
		VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
13	ქართული, როგორც მეორე ენა	V-VI	2 x 30000	6000	4	0.3	0
		VII	1 x 30000	3000	4	0.3	0
		VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
14	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	VIII	1 x 20000	0	4	0	0
15	მუსიკა	VIII	1 x 20000	3000	4	0	0
16	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	VII	1 x 10000	0	4	0	2.5
		VIII	1 x 10000	0	4	0	2.5
17	აფხაზური ენა და ლიტერატურა	I-IV	4 x 30000	0	3.5	0	0
		V-VI	2 x 30000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0
18	რუსული, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა	I-IV	4 x 30000	0	3.5	0.25	0
		V-VI	2 x 20000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0

	შენიშვნა:
1	**კომპონენტების ანოტაცია:**
1.1.	**კომპონენტი A** - საბაზისო ჰონორარი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ, ერთჯერად გასაცემ თანხას, რომელიც ეფუძვნება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
1.2.	**კომპონენტი B** - დამატებითი ფიქსირებული ჰონორარი კომპლექტში შემავალი მასწავლებლის წიგნის ელექტრონული რესურსისათვის.
1.3.	**კომპონენტი G1** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის.
1.4.	**კომპონენტი G2** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის რვეულის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის.
1.5.	**კომპონენტი G3** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის იმ საგნებში/კლასებში, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით.
2	წარმოდგენილი ჰონორარი (გარდა იმ სახელმძღვანელოებისა, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით) მოიცავს მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის გასაცემ ჰონორარსაც.
3	საავტორო უფლებების შესყიდვის ფასის (კომპონენტი "G1", "G2", "G3") დადგენა განხორციელდება გრიფის მინიჭების შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-8 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული, განმცხადებლის მიერ, წარდგენილი ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის გათვალისწინებით.
4	საავტორო უფლების შესყიდვის ფასის (კომპონენტი „G1") გადახდა განხორციელდება (შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების დადების შემდეგ) ავანსის სახით, თითოეული კლასის მოსწავლის წიგნის 5000 ეგზემპლიარზე გაანგარიშებით. აღნიშნული გადახდა მხედველობაში მიიღება (გამოიქვითება) ყოველწლიური ჰონორარის ოდენობიდან.
5	ჰონორარი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.